

აგრო-ბიო ტექნოლოგიაში კომპლექსების ინტელექტუალური მართვის სისტემის სტრუქტურის აპროცესული ფორმალიზაცია

თემურ კაპანაძე, ნინო ჭალიძე, ნინო ლომიძე,

ლევან ღურბელეიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინფორმაციული ტექნოლოგიების უახლოეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერებასა და ტექნიკაში ინტელექტუალური მართვის სისტემის გამოყენება, რომლებიც დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან კომფლიქტური სიტუაციის დროს. ნაშრომში განხილულია გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის სტრუქტურა, როგორც ინტელექტუალური მართვის სისტემის მთავარი ბირთვი. აპროცესულად შემოთავაზებულია აგრო-ბიო ტექნოლოგიების ტექნოდინამიკური კომპლექსების მართვის ინტელექტუალურ სისტემაში ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდულის ჩართვა, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეამცირებს სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და გაზრდის ოპტიმალურობის ხარისხს.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგიები. ინტელექტუალური სისტემები. მხარდამჭერი სისტემა. ტექნოდინამიკური, აგრო-ბიო ტექნოლოგიები.

1. შესავალი

გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებით შექმნილმა უარყოფითმა ფაქტორებმა საგრძნობლად გაართულა სასურველი პარამეტრების მქონე ბიოპროდუქტის წარმოება. აღნიშნულმა ფაქტორებმა ბურებრივად დააყენა ბიოტექნოლოგიურ პროცესებზე სწრაფად რეაგირების და რეგულირების ამოცანა (მართვა), ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის წარმოების ჭრილში.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბიოპროდუქტის წარმოება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები ვარირებს წინასწარდადგენილ ტექნოლოგიურ ზღვრებში.

თანამედროვე ბიოტექნოლოგია, მიზანფუნქციების მიხედვით, დაყოფილია რიგ მიმართულებებად, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს კვების ტექნოლოგია. ექსპერტ-სპეციალისტთა შეჯასებით, კვების პროდუქტთა წარმოების 80%-ზე მეტი დაკავშირებულია ისეთ მიკრობიოლოგიურ პროცესებთან, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ფერმენტაცია (დუღილი), ხოლო შესაბამის ტექნილოგიურ სისტემას – სამაღულრე წარმოება.

ნაშრომში განხილულია ისეთი ტექნოდინამიკური კომპლექსების კომპიუტერული მართვის საკითხები მეთოდების დამუშავება, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნივთიერებათა კონცენტრაცია, მოლეკულათა დიფუზია და ა.შ. ასეთი შინაარსის დატვირთვის მქონე ბიოტექნოლოგიებისა სამაღულრე წარმოება, სამკურნალო-ვიტამინებიანი მშრალი და ზეთოვანი კონცენტრატების წარმოება და სხვა. განხილულია აგრეთვე მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებისგან ღვინის წარმოების ტექნოდინამიკური კომპლექსის კომპიუტერული მართვის სისტემის დაპროექტების საკითხები, რომელიც წარმოადგენს სამაღულრე წარმოების კლასიკურ მაგალითს.

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მწარმოებლისგან ითხოვს საერთაშორისო სტანდარტების მქონე მაღალხარისხიან და დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქციას. ბუნებრივია ეს მოთხოვნა

ვრცელდება ღვინის მწარმოებელ საწარმოებზეც. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურს წარმოადგენს ღვინის წარმოებებში მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა.

ღვინის დაყენება, რთული, მრავალსტადიური, ბიოტექნოლოგიური პროცესია, რომელშიც მონაწილეობს დიდი რაოდენობის ტექნოლოგიური მოწყობილობები და რომელთა ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული საბოლოო პროდუქტის ხარისხი და თვითღირებულება. გარდა ამისა ღვინის ხარისხს მაღალი ალბათობით განაპირობებს ნედლეულის პარამეტრების მნიშვნელობები. აღნიშნული პარამეტრების რაოდენობრივი მაჩვენებლები ცვლადი სიდიდეებია და დამოკიდებულია არამარტო მისი დამზადების დროზე, არამედ იმ ადგილმდებარეობის ეკოგარემოზეც, სადაც მისი დამზადება განხორციელდა.

თუ ამას დაუმატებთ გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებით შექმნილ უარყოფით ფაქტორებს, რამაც საგრძნობლად გაართვულა სასურველი პარამეტრების მქონე ბიოპროდუქტის წარმოება, ცხადი ხდება ღვინის წარმოებებში თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენების აუცილებლობა, ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის წარმოების ჭრილში(აქვე აღვნიშნაოთ, რომ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბიოპროდუქტის წარმოება, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები იცვლებან წინასწარ დადგენილ ტექნოლოგიურ ზღვრებში და მაქსიმალურად არიან მიახლოებულნი იდეალურ მნიშვნელობებთან).

დროის რეალურ რეჟიმში მომუშავე თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემები, ტიპიურ მართვის პროცესებს ასრულებენ ავტომატურად, ოპერატორული პერსონალის ჩარევის გარეშე. ოპერატიული პერსონალი ახორციელებს ტექნოლინამიკური კომპლექსის ფუნქციონირების მართვის კონტროლს და აქტიურად ერთვება მართვის პროცესებში ეწ კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში.

კონფლიქტური სიტუაციის ქვეშ იგულისხმება მართვის ობიექტის ისეთი მდგომარეობა, როცა მასში მიმდინარე პროცესის წარმართვა შეუძლებელი ხდება ოპერატიული ჯგუფის ჩარევის გარეშე. ოპერატიული ჯგუფის მოქმედების „ყოფაქცევას“ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიმღები პირი (გმპ), რომელიც სიტუაციის მიხედვით, დროის მოცემულ მომენტში, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ირჩევს ეფექტურ გადაწყვეტილებას.


აღნიშნულის გათვალისწინებით, ოპერატიული მართვის ავტომატიზებული სისტემის ძირითადი დატვირთვა იქნება იმ რეკომენდაციების ტექნოლოგებისთვის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმალურ რეჟიმში წარმართვას და ამ გზით მაღალხარისხიანი და იაფი პროდუქტის ფორმირებას.

პირობითად, ღვინის დაყენების ოპერატიული მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოდგენილი იქნება სამ ღონიანი მართვის სტრუქტურით(იხილეთ ნახ.1):

ზედა დონეს წარმოადგენს მართვის ცენტრალური კომპიუტერული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია მთელი ტექნოლოგიური პროცესის მართვაზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირთან ერთად. აქ თავს იყრის ყველა სახის ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესახებ და აქვე ხდება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება კონფლიქტური სიტუაციების დროს.

შუა დონეს წარმოადგენს ეწ. ანალოგურ-ციფრული და პირიქით ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი მოდულები. ამ მოდულების საშუალებით კომპიუტერულ ცენტრს მიეწოდება ყველა სახის ციფრული ინფორმაცია, ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობის შესახებ და ხდება

კომპიუტერის მიერ გაცემული ბრაძნებების ფორმირება ანალოგურ (ფიზიკურ) სიგნალად, ამძრავისათვის (შემსრულებელი მექანიზმი) ავტომატურ რეჟიმში პროცესის რეგულირების დროს.



ნახ.1

ქვედა დონეს წარმოადგენს ყველა სახის გადამწოდი (შესაბამისად შემსრულებელი მექანიზმი), რომელიც ფიზიკურ სიდიდეებში ზომავს ოპტიმალური მართვის პროცესის წარმართვისათვის ყველა საჭირო პარამეტრს და მიაწვდის კომპიუტერულ მართვის ცენტრს, ანალოგურ-ციფრული მოდულების მეშვეობით.


ოპერატორი მართვის ავტომატიზებული სისტემა ითვალისწინებს რა მთლიანი ტექნოლოგიური ციკლის თავისებურებებს, უზრუნველყოფას:

- ღიანის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ყველა სტადიაზე, ყველა მოცემული პარამეტრის სტაბილიზაციას დასაშვები დიაპაზონის ფარგლებში;
- კომფლიქტური სისტუაციების დროს, დიალოგურ რეჟიმში („გმპ-კომპიუტერი“) ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ტექნოლოგიური პარამეტრების რეგულირებას (დისპეტჩერიზაციას), როგორც ავტომატურ, ასევე ავტომატიზებულ (სპეციალისტთა მონაწილებით) რეჟიმში;
- ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარე პარამეტრების მნიშვნელობების ინფორმაციის ასახვას, დროს ნებისმიერ მომენტში, კომპიუტერის მონიტორზე (ან მნემო სქემაზე);
- პარამეტრების ცვლილებების და მიღებული გადაწყვეტილებების არქივიზაციას, მოსალოდნელი კომფლიქტური სისტუაციების დროს ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად;
- მართვის საშუალებების დამატებითი ფუნქციებით აღჭურვას, ტექნოლოგიური პროცესების შეცვლის ან მოდერნიზაციის დროს.

თანამედროვე გადაწყვეტილების მიღების შეარდამჭერი სისტემები (გმპს), რომლებიც ფუნქციონირებენ რა დროის რეალურ მასშტაბში, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ ინტელექტუალური მართვის ავტომატიზებულ სისტემებს და დალოგულ რეჟიმში ეზმარებიან გადაწყვეტილების მიმღებ პირს (გმპ), ამა თუ იმ პრობლემების შესახებ, ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

ინტელექტუალური მართვის ინფორმაციული სისტემების ქვეშ იგულისხმება ისეთი ავტომატიზებული სისტემები, რომლის საფუძველს წარმოადგენს ინტელექტუალური მართვის ის მეთოდოლოგია, რომლიც აგებულია ცოდნის ბაზის კომპლექსურ გამოყენებაზე.

ზემოხსნებული სისტემების ოპერატორული მართვის ხარისხი ამაღლების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩინია „გმშ ის“ კლასიკურ სტრუქტურაში ჩავრთოთ ეფექტური გადაწყვეტილების (და არა გადაწყვეტილებების) მიღების მოდული, რომლის დროსაც „გმშ ის“-ის განზოგადებულ სტრუქტურას ექნება შემდეგი სახე (ნახ.2).




6, 1, 2

ვფიქრობთ, მოდერნიზებული სისტემის მიზნობრივი დატვირთვა უნდა იყოს არა რეკომენდაციების სასრული სიმრავლის შეთავაზება „გმპ“-თვის, არამედ ერთი ე.წ სუბოპტიმალური (ეფექტური) გადაწყვეტილების მიწოდება და სისტემასთან დათვირთვით მისი სასურველ შედეგამდე დაყვანა. აღნიშვნული მიდგომა საშუალებას მისცემს „გმპ“-ს გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოს ის მიმდინარე გარე ზემოქმედებებიც, რომლებიც შეუძლებელია ალტერნატიული გადაწყვეტილების მიწოდების შემთხვევაში.

აგრო-ბიო ტექნიკური კომპლექსებს, რომლებიც საწყის ეტაპზე გადამუშავებენ თითქმის ერთნაირ ბიონედლეულს, მცენარეულს, და რომლებიც დროში ფუნქციონირებენ თითქმის უწყვეტად, გააჩნიათ კვალიტადი ხასიათი და ძალზე მაღალი ალბათობით დამოკიდებული არიან გარემო

ფაქტორებზე. თუ ბიოპროცესებს განვიხილავთ ფიზიკური და ქიმიური მოვლენების ჭრილში, დავყერდობით ბიოფიზიკის და ბიოქიმიის დასკვნებს ვნახავთ, რომ მათ ელემენტებს გააჩნიათ დისკრეტულ მდგრამარეობათა სასრული სიმრავლე, სტრუქტურათა მდგრადობის გარკვეული რაოდენობები. გარდა ამისა თუ გავითვალისწინებთ აგრო-ბიო პროცესების ციკლურ ხასიათს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი განეკუთნებიან შერეული ხასიათის ტექნოლოგიურ პროცესებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აგრო-ბიო ტექნოდინამიკური კომპლექსის ინტელექტუალური მართვის სისტემის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მოდული განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი მართვის ობიექტი და მისი სტრუქტურა წარმოვადგინოთ განზოგადოებული სქემის სახით (ნახ.3).



ნახ.3

სადაც:

- $\vec{Y} \{Y_1(t, \vec{x}), Y_2(t, \vec{x}), \dots, Y_m(t, \vec{x})\}$ – არის გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემის მიერ გამომუშავებული ალტერნატიულ რეკომენდაციათა (გადაწყვეტილებათა) ვექტორი;
- $X^{\rightarrow}(x_1, x_2, \dots, x_k)$ – არის სამართავი აგრო-ბიო ტექნოდინამიკური კომპლექსის მახასიათებელი (შემავლი) პარამეტრები;
- $\vec{Z}(z_1, z_2, \dots, z_k)$ – არის გარემოფაქტორის ის პარამეტრები დროის t რეალურ მომენტში, რომლის გათვალისწინება შეუძლებელია ტექნოდინამიკური კომპლექსის მართვის სისტემის მირითად მოდელში;
- $\vec{U} \{U_1(\vec{y}, \vec{z}), U_2(\vec{y}, \vec{z}), \dots, U_m(\vec{y}, \vec{z})\}$ – არის ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პარამეტრების ვექტორი, რომელიც წარმოადგენს Y_i ალტერნატივის Φ კანონზომიერებით U_i გადაწყვეტილებაში გარდასახვის კანონს, დროის t რეალურ მომენტში, Z ფაქტორების გათვალისწინებით.

ზოგადად,

$$\vec{U} = \vec{\Phi}(\vec{y}, \vec{z})$$

ამ გამოსახულებაში $\vec{\Phi}(\phi_1, \phi_2, \dots, \phi_k)$ წარმოადგენს \vec{Y} -ის \vec{U} -ში გარდასახვის მისაღწევად მიზანდასახულ ქმედებათა წესების ვექტორს (ზოგადად Φ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების კანონზომიერება).

ყოველივე ზემოგანხილულიდან გამომდინარე Φ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების ამოცანა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

\vec{Y} ალტერნატიული გადაწყვეტილებების საფუძველზე განვსაზღვროთ \vec{U} გარდასახვის ისეთი მიშვნელობები, რომლის დროსაც ეფექტური ალტერნატივა (F):

$$F = \sum_{i=1}^m \alpha_i u_i; \quad \alpha_i \geq 0; \quad \sum_{i=1}^m \alpha_i = 1;$$

იქნება საუკეთესო t რეალური დროის მოცემული მომენტისათვის.

დღეისათვის მეცნიერული კვლევები, ინფორმაციული სისტემების აგების ჭრილში, მიმართულია დიდი და რთული ტექნიკური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, აგრეთვე პოლიტიკური თუ სოციოლოგიური სისტემების ფორმირების პროცესების დამუშავებაზე, მათ რეალიზაციაზე დროის რეალურ რეჟიმში. ესპარტ-მეცნიერთა აზრით, ამა თუ იმ დარგის სფეროში დაგროვილი ცოდნის პოტენციალის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში 60-70% -ით გაზრდის მართვის ეფექტურობის ხარისხს.

იტალიელი მეცნიერის პარეტოს მიხედვით, არსებული ცოდნის ბაზა შეიძლება მივიჩნიოთ დიდი განზომილების მქონე ალტერნატიული ამონასწორების სიმრავლედ, ხოლო თითოეული მიღებული გადაწყვეტილება ალტერნატიულ გადაწყვეტილებად. „გმმ ის“-ის მიერ გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის რეკომენდაციების მიწოდება წარმოადგენს ამ სიმრავლიდან შესაძლო ოპტიმალური გადაწყვეტილების ამორჩევის შედეგს. ზემოგანხილული მოდერნიზებული გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი ევრისტიული სისტემის მიზანია პარეტოს სამრავლიდან ეფექტური გადაწყვეტილების მიღების (ამორჩევის) იტერაციული პროცედურების რაოდენობრივი შემცირება, რაც თავისთავად აისახება გადაწყვეტილების მიღების დროზე.

3. დასკვნა

როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების გამოკვლევებით, საქართველო ითვლება მევენახეობა-მედვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში. ღვინის წარმოების მრავალსაუკონვანებამ გამოცდილებამ, ჩამოაყლიბა და დანერგა ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიები. ამ ტექნოლოგიებით დამზადებული ქართული მაღალხარისხიანი ღვინოების უდიდესი უმრავლესობა წარმატებით იყიდებოდა საზღვარგარეთის ბაზარზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეამცირა დარგის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი. გარდა ამისა გარემოს უარყოფითმა ეკოლოგიურმა ფაქტორებმა საგრძნობლად დააქვეითა ქართული ღვინოების ხარისხობრივი მაჩვენებლები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მისი საექსპორტო პოტენციალი. ვფიქრობთ, ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიებში თანამედროვე მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, საგრძნობლად აამაღლეს მის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და კონკურენტუნარიანს გახდის, მეღვინეობის დარგში, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან მიმართებაში.

ლიტერატურა:

1. კაპანაძე თ., ცინცაძე ა., გაბედავა ო. (2008). ბიოტექნოლოგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პროცესების აპრიორული ფორმალიზაცია. სტუ-ს შრ.კრ. „მას“, №8. გვ. 110-113
2. Волова Т.Г. (1999). Биотехнология. Новосибирск. Россияю
3. Биохимические процессы и использование ферментов в пищевых технологиях. <http://1snau.ru/bioximicheskie-processy-i-ispolzovanie-fermentov-v-pishhevix-texnologiyax/>

4. Великая Е.И. Суходол В.Ф. (1983). Лабораторный практикум по курсу общей технологии бродильных производств. –М. Легкая и пищевая промышленность.
5. ცაბუაძე ა. კაპანაძე თ. გაბედავა თ. (2010). ბოტანიკუროგიური სისტემების მოდელირების ზოგიერთი პრობლემის აპრიორული ფორმალიზაცია. *Transactions. Georgian Technical University. AUTOMATED CONTROL SYSTEMS - № 1(8)*. pp. 110-114.
6. კვესიტაძე გ., კვესიტაძე ე. (1999). ბოტანიკუროგია. თბილისი, შპს „ეტრატი“. <http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo>
7. Воробьев В.В. (<http://konf-apobr.ru/index.php/sektion3/217-akchvo.html>). Актуальные проблемы моделирования системы формирования и управления качеством продукции. ГОУ ВПО «МГУТУ», Москва, Россия

GENERALIZED STRUCTURE OF INTELLIGENT CONTROL SYSTEM OF AGRO-BIO TECHNO-DYNAMIC COMPLEXES

Temur Kapanadze, Nino Chalidze , Nino Lomidze, Levan Gurbeleishvili
Georgian technical university

Summary

The paper discusses methods for developing decision support systems, based on knowledge for use in supernumerary, non-standard, emergency situations. For many non-standard tasks require unconventional methods, using both formal methods to solve problems as (math) well as non formalized methods of solution (artificial intelligence methods). And also consider the structure of decision support system, as the main core of intellectual system-control. By us is suggested the inclusion of a module for adoption effective decisions in intelligent control system of Agro-Bio Techno-Dynamic complex, which, according to the authors, will significantly reduce the decision time and increase the degree of optimality.

АПРИОРНАЯ СТРУКТУРА ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ АГРО-БИО ТЕХНОДИНАМИЧЕСКИМИ КОМПЛЕКСАМИ

Капанадзе Т., Чалидзе Н., Ломидзе Н., Гурбелишвили Л.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены методы разработки систем принятия решений, основанных на знаниях для использования в нештатных, нестандартных, чрезвычайных ситуациях. Для решения многих нестандартных задач требуются нетрадиционные методы, использующие как формализованные методы решения задач (математические), так и неформализованные методы решения (методы искусственного интеллекта). А также рассмотрена структура системы поддержки принятия решения, как основное ядро интеллектуальной системы управления. Априорно предложено включение модуля принятия эффективных решений в интеллектуальную систему управления агробио технодинамическим комплексом, который, по мнению авторов, значительно уменьшит время принятия решения и увеличит степень оптимальности.